



**N 25, 2021**

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
“ბალტიის გაზსადენის” მშენებლობა შეამცირებს პოლონეთის რუსულ გაზზე დამოკიდებულებას .....	2
აშშ-ს სასამართლომ გააუქმა ბაიდენის მორატორიუმი ნავთობისა და გაზის წარმოებაზე .	3
ელექტროენერგეტიკა .....	3
შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის ავტოსადგომზე საქართველოში ყველაზე მძლავრი მზის ელსადგური დამონტაჟდა .....	3
მაისში ელექტროენერჯის იმპორტი 98,4%-ით შემცირდა - სად ვიყიდეთ დენი .....	3
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
ნორვეგიაში ქარის ვერტიკალური ფერმა შექმნეს, რომელიც დენით 80 000 სახლს დააკმაყოფილებს .....	4
ნიდერლანდებში წყალბადის ბირჟის შექმნას განიხილავენ .....	5
კლიმატის ცვლილება.....	5
გარემოსდაცვითი პოლიტიკის გასაძლიერებლად გერმანიის მთავრობამ საქართველოს 24 მლნ ევრომდე გრანტი გამოუყო.....	5
უწყვეტი გარემოსდაცვითი განათლების დანერგვის მიმართულებით ონლაინ კონფერენცია გაიმართა .....	6
პუბლიკაციები .....	6
ღონისძიებები .....	7

## ნავთობი და გაზი

### “ბალტიის გაზსადენის” მშენებლობა შეამცირებს პოლონეთის რუსულ გაზზე დამოკიდებულებას

დანის გარემოს დაცვის სააგენტომ სატრანსპორტო სისტემის ოპერატორ Energinet-ს აცნობა, რომ შეუძლია განახლოს “ბალტიის მილსადენის” პროექტზე სამშენებლო სამუშაოები დანის 210 კილომეტრიანი მონაკვეთის გარკვეულ უბნებზე.

Energinet ფიქრობს, რომ პროექტი შესაძლოა სამი თვით გადაიდოს, მაგრამ 2022 წლის ოქტომბრისთვის კომპანიას შეეძლება მიაღწიოს დაგეგმილი სიმძლავრის მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო მისი სრულად მიღწევა 2022 წლის ბოლოსთვისაა ნავარაუდები.

2021 წლის 31 მაისს, დანის გარემოსა და სურსათის უვნებლობის დაცვის სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ, “ბალტიის მილსადენის” პროექტისთვის გარემოსდაცვითი ნებართვის გაუქმების თაობაზე, Energinet-მა დროებით შეაჩერა მშენებლობა.

დანის გარემოს დაცვის სააგენტომ განაცხადა, რომ ის აღარ ეწინააღმდეგება Energinet-ის გეგმებს განახლოს მშენებლობა პროექტის შერჩეულ უბნებზე.

Energinet სავარაუდოდ განახლებს სახმელეთო ხაზის მშენებლობას კუნძულ ზელანდიაზე, კუნძულ ფუნენის აღმოსავლეთ ნაწილსა და დანის დასავლეთ სანაპიროდან Nybro-ს გაზსადენის ტერმინალამდე. შესაძლოა განახლდეს თავად Nybro-ს ტერმინალისა და ახალი საკომპრესორო სადგურის მშენებლობაც ევერდრუპში.

“ფუნენის კუნძულის დასავლეთ ნაწილსა და იუტლანდიის აღმოსავლეთ ნაწილში მილსადენის მშენებლობა ეგტვედში არსებულ საკომპრესორო სადგურიდან “მცირე სარტყელამდე”, აგრეთვე, ევერდრუპში საკომპრესორო სადგურისთვის ელექტრომომარაგების გაყვანა, დროებით შეჩერდება ახალი გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემამდე,”- განმარტა სატრანსპორტო ოპერატორმა.

ამრიგად, დანის 210 კილომეტრიანი მონაკვეთის უმეტეს ნაწილზე მშენებლობა შეიძლება განახლდეს. მაგრამ, დანის გარემოსა და სურსათის უვნებლობის დაცვის სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ ფუნენის დასავლეთ ნაწილში და იუტლანდიის აღმოსავლეთ ნაწილში მშენებლობა 2022 წლამდე გადაიდება .

2018 წელს Energinet და მისი პოლონელი პარტნიორი GAZ-System შეთანხმდნენ, რომ “ბალტიის მილსადენი” ექსპლუატაციაში 2022 წლის ოქტომბრამდე შევა, რის შედეგადაც შეძლებენ 10 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას. “ბალტიის მილსადენი” ნორვეგიულ ბუნებრივ აირს მიაწვდის პოლონელ მომხმარებელს, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირებს პოლონეთის დამოკიდებულებას რუსულ ბუნებრივ გაზზე.

<https://cutt.ly/4mtroK9>

## აშშ-ს სასამართლომ გააუქმა ბაიდენის მორატორიუმი ნავთობისა და გაზის წარმოებაზე

New York Post-ის თანახმად, აშშ-ს შტატ ლუიზიანას ფედერალურმა მოსამართლემ გააუქმა პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მორატორიუმი ფედერალურ მიწებზე ნავთობისა და გაზის წარმოებაზე ახალი ნებართვების გაცემის შესახებ.

მოსამართლე ტერი დოუთის განცხადებით, აშშ-ს ადმინისტრაციამ არ წარმოადგინა რაციონალური ახსნა-განმარტება აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. დოუთისამდე მსგავსი გადაწყვეტილება მიიღეს კიდევ 13 შტატში – ლუიზიანაში, ალაბამაში, ალასკაში, არკანზასში, ჯორჯიაში, მისისიპისში, მისურისში, მონტანაში, ნებრასკაში, ოკლაჰომაში, ტეხასში, იუტასა და დასავლეთ ვირჯინიაში.

ბაიდენმა მორატორიუმი 27 იანვარს დააწესა, რომელიც გულისხმობდა Keystone Pipeline პროექტის გაუქმებას.

<https://cutt.ly/dmtraeD>

## ელექტროენერგეტიკა

### შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის ავტოსადგომზე საქართველოში ყველაზე მძლავრი მზის ელსადგური დამონტაჟდა

კომპანია „სოლარ ენერჯი ჯორჯია“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის ავტოსადგომზე დაამონტაჟა საქართველოში ყველაზე მძლავრი პარკინგის მზის ელსადგური.

მზის სადგურის პიკური სიმძლავრე 300 კილოვატია.

პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიეტუვის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს თანადაფინანსებით, კლიმატის ცვლილების პროგრამის ფარგლებში, ლიეტუვურმა კომპანია JSC „Saulės grąža“-მ განახორციელა.

<https://cutt.ly/emtrs27>

### მაისში ელექტროენერჯის იმპორტი 98,4%-ით შემცირდა - სად ვიყიდეთ დენი

2021 წლის მაისში წინა თვესთან შედარებით საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტი 98,4%-ით შემცირდა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი 36,8%-ით. უფრო კონკრეტულად, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის (ესკო) სტატისტიკის მიხედვით, 2021 წლის მაისში ქვეყანამ უცხოეთში 4.143 მლნ კვტ-სთ ელექტროენერჯია იყიდა, აპრილში - 259.600 მლნ კვტ-სთ, წინა წლის მაისში კი იმპორტირებული ელექტროენერჯის მოცულობა 6.560 მლნ კვტ-სთ-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ მაისში საქართველომ ელექტროენერჯია მხოლოდ აზერბაიჯანში შეიძინა - 4.143 მლნ კვტ-სთ.

ელექტროენერჯის იმპორტის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რეაბილიტირებული ენგურჰესის ხელახლა ამუშავება გახდა. როგორც ცნობილია, ქვეყნის ყველაზე დიდი ჰესი რემონტის გამო 3 თვის განმავლობაში გაჩერებული იყო და მხოლოდ 2021 წლის აპრილის ბოლოს ჩაირთო. ახლადგარემონტებული ენგურჰესის მიერ გამომუშავებული დენის მოცულობამ კი 2021 წლის მაისში 403.560 მლნ კვტ-სთ შეადგინა, ეს კი წინა წლის მაისთან შედარებით 98,1%-ით მეტია, შარშან მაისში ენგურმა 203.625 მლნ კვტ-სთ ელექტროენერჯია გამოიმუშავა.

<https://cutt.ly/6mtrhww>

## განახლებადი ენერჯია და ენერჯოეფექტურობა

### ნორვეგიაში ქარის ვერტიკალური ფერმა შექმნეს, რომელიც დენით 80 000 სახლს დააკმაყოფილებს

ნორვეგიულმა კომპანია „ვინდ ქეჩინგ სისტემზმა“ (Wind Catching Systems - WCS) შეიმუშავა უზარმაზარი მოტივტივე სისტემა, რომელიც ქარის მცირე ტურბინების ვერტიკალურ ფერმას წარმოადგენს. ახალი სისტემა იმითაცაა საყურადღებო, რომ მსოფლიოში არსებულ ყველაზე დიდ ქარის ტურბინებზე ხუთჯერ მეტ ელექტროენერჯიას გამოიმუშავებს. რაც ასევე მნიშვნელოვანია, მის მიერ გამომუშავებული ენერჯის ფასი სრულიად კონკურენტუნარიანია.



დანადგარის სიმაღლე 324 მეტრს აღწევს და მასში მინიმუმ 117 ცალი მცირე ტურბინა თავსდება. დანადგარი ფაქტობრივად, არის მოტივტივე პლატფორმა-ელექტრო სადგური. ის ოკეანის/ზღვის ფსკერზე იმავე პრინციპით მაგრდება, რომელსაც ფართოდ იყენებენ ნავთობის და გაზის ოფშორულ სადგურებზე.

WCS აცხადებს, რომ ერთი ასეთი დანადგარი, რომელიც „ვესტას“ ტურბინებით არის აღჭურვილი და 15 მეგავატ ენერჯიას გამოიმუშავებს, ჩვეულებრივ ტურბინაზე ორჯერ მეტ ფართობს და მასთან ერთად, ამ ფართობზე მოძრავ ჰაერის ნაკადს მოიცავს. გარდა ამისა, მომცრო მოტორები მაშინაც კარგად მუშაობს, როდესაც ქარის სიჩქარე 40-43 კმ/სთ-ს

აღწევს. დიდ ტურბინების ეფექტურობა კი ასეთი ქარისას მცირდება, რადგან ფრთების დახრა იცვლება, რათა ჰაერის ძლიერი ჭავლის ზემოქმედებამ, მათი დაზიანება არ გამოიწვიოს.

WCS-ის გათვლებით, „ვინდქერის“ წლიური ენერგოგამომუშავება, ჩვეულებრივ ტურბინებთან შედარებით, 500 პროცენტით მეტია. ამასთან, თითოეული ასეთი პლატფორმა, 80 000 ევროპული სახლის ელექტრო ენერგიით სრულფასოვანი მომარაგების საშუალებას იძლევა.

<https://cutt.ly/Kmtrk5A>

## ნიდერლანდებში წყალბადის ბირჟის შექმნას განიხილავენ

ნიდერლანდებში, სადაც მსოფლიოს ბუნებრივი აირის ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი მდებარეობს, შესაძლოა წყალბადის ბირჟა შეიქმნას.

პროექტის სახელწოდებაა HyXchange.

ექსპერტის დასკვნების თანახმად, წყალბადის ბირჟის პრაქტიკული ორგანიზება მოითხოვს სერტიფიცირებას, ბაზრის შექმნას (სიმულაციის დასაწყისში), ფასების ინდექსს და მოცულობების დაბალანსებისა და წყალბადის შენახვის მექანიზმების შექმნას.

წყალბადის ფასების ინდექსში გათვალისწინებული უნდა იყოს მისი წარმოების მეთოდი და მიღწეული CO<sub>2</sub>-ის ემისიის შემცირების ხარისხი.

წყალბადის გლობალური ბაზარი შეიძლება 2040 წლისთვის ჩამოყალიბდეს.

<https://cutt.ly/jmtrxcn>

## კლიმატის ცვლილება

### გარემოსდაცვითი პოლიტიკის გასაძლიერებლად გერმანიის მთავრობამ

#### საქართველოს 24 მლნ ევრომდე გრანტი გამოუყო

გარემოსდაცვითი პოლიტიკის გასაძლიერებლად გერმანიის მთავრობამ საქართველოს 24 მლნ ევრომდე გრანტი გამოუყო, – ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული გრანტი ნაწილდება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოზე.

„საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, კლაუს ფაიგელმა საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის, ხელი მოაწერეს საგრანტო ხელშეკრულებას „ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში“, რომლის საფუძველზეც ქვეყანა 24 მლნ ევრომდე მოცულობის გრანტს მიიღებს.

ხელმოწერის ცერემონიის დაწყებამდე სტუმრებს მიმართეს და საქართველო-გერმანიას შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, ჰუბერტ ქნირშმა.

<https://cutt.ly/ymlrbzI>

## უწყვეტი გარემოსდაცვითი განათლების დანერგვის მიმართულებით ონლაინ კონფერენცია გაიმართა

გაეროს განათლების, კულტურისა და მეცნიერების ორგანიზაციის (UNESCO), ასევე, ევროკავშირის წევრი და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებმა გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების და ინკლუზიური საზოგადოების განვითარების საკითხები ონლაინ კონფერენციაზე განიხილეს. ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორმა, თამარ ალადაშვილმა უწყვეტი გარემოსდაცვითი განათლების დანერგვის მიმართულებით საქართველოში მიმდინარე ღონისძიებებზე ისაუბრა.

„ქვეყნის მასშტაბით, უკვე დანერგილია სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების პროგრამა; დაიწყო გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების სასკოლო სივრცეში ინტეგრირების პროცესი. ადრეულ ასაკში გარემოსდაცვითი განათლების სწავლების შედეგი ამ მიმართულებით სწორი ღირებულებების ჩამოყალიბებაა. დღეს, მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა კლიმატის ცვლილება და მასთან სოფლის მეურნეობის ადაპტაცია; სწორედ ამიტომ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის მიერ, აქტიურად მიმდინარეობს კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის სასწავლო პროგრამის შემუშავება; ასევე, აქტიურად ტარდება სასწავლო კურსები, რომელიც ხელს უწყობს მწვანე ბიზნესის განვითარებას და შესაბამისი სპეციალისტების მომზადებას“, – აღნიშნა თამარ ალადაშვილმა.

საერთაშორისო კვირეული ევროპის ტრენინგების ფონდის (ETF) და UNESCO-ს მიერ EBRD-თან, ILO-თან და UNICEF-თან თანამშრომლობით ტარდება.

<https://cutt.ly/7mtrmnm>

## პუბლიკაციები

საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტიის სამდივნომ გამოაქვეყნა [2020 წლის მე-4 კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი](#)

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ახალი ანგარიში [Global Renewables Outlook 2050](#)

წარმოგიდგენთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ახლახან გამოქვეყნებულ ინგლისურ ენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

## ღონისძიებები

### **მე-3 ევროპული კონფერენცია და გამოფენა - Biogas PowerON 2021**

თარიღი: 1-2 სექტემბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://cutt.ly/tvmpeeF>

### **მე-3 ევროპული კონფერენცია - Future of Biofuels 2021**

თარიღი: 5-6 15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://fortesmedia.com/future-of-biofuels-2021,4,en,2,1,13.html>

### **მე-16 კონფერენცია ენერჯეტიკის, წყალმომარაგების და გარემოსდაცვითი სისტემების მდგრადი განვითარების (SDEWES) საკითხებზე**

თარიღი: 10-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: დუბროვნიკი, ხორვატია

Covid-19-ის სიტუაციის მიხედვით, კონფერენცია ჩატარდება ან ჰიბრიდულ, ან სრულად ონლაინ რეჟიმში.

<https://www.dubrovnik2021.sdewes.org/>

### **მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერჯეტიკის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე**

თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: ათენი, საბერძნეთი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა “Kostis Palamas”

<https://promitheasconference.wordpress.com/>